საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 560/ს
19/10/2023

560-21-4-202310191406

„მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ ნატახტრის მიმდებარედ, წელიწადში 315 000 m^3 მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 5 ივლისის №318/ს ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2023 წლის 17 ოქტომბერს სააგენტოს მომართა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ და ითხოვა 2023 წლის 5 ივლისის №318/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების გაუქმება.

2023 წლის 5 ივლისს გაიცა გარემოს ეროვნული სააგენტოს №318/ს ბრძანება „მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ ნატახტრის მიმდებარედ, წელიწადში 315 000 m^3 მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ ნატახტრის მიმდებარედ, წელიწადში 315 000 m^3 მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 5 ივლისის №318/ს ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო